პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 20 იანვარი, 1990 წელი ● № 4 (2881) ● СУББОТА, 20 ЯНВАРЯ 1990 г.

## ძალარა თბილისო ჩემო...



## ვერც ერთი დამნაშავე ვერ აიცდენს პასუხისმგებლობას

როგორც ცნობილია, შარშან ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და აფხაზეთში ტრაგიკული ამბების დროს აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, ვინც მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინა. დღემდე არ ყოფილა სრულ ფასოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ამ საქმეების გამოძიება.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ჩვენ გვესაუბრებიან საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ნ. შოშიაშვილი და რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. ტალიაშვილი. აი რა გვიამბეს მათ:

**ნ. შოშიაშვილი:** უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ამბების გამო საქმეთა გამოძიება დაკავშირებულია მთელ რიგ ისეთ დამატებით სიძნელეებთან, როგორიც არის, მაგალითად, გარკვეული წინააღმდეგობის დაძლევა, დიდი მოცულობის მუშაობა ყოველი ბრალდებულის როლის გამოსავლენად და ა. შ. ამიტომ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ რაჩან დანაშაული აშკარაა, მაშასადამე აქ გამოსაძიებელი აღარაფერიაო. ეს ასე როდია იურისტები დამიდასტურებენ, რომ ჩვეულებრივ გამოძიება სწორედ ამგვარ დანაშაულობებში აწყდება განსაკუთრებულ სიძნელეებს.

რა გააკეთა კონკრეტულად პროკურატურამ? ქვემო ქართლის ამბების გამო აღძრულია 47 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 23 უკვე სასამართლოს გადაეცა. ახლა აქ მუშაობს 41 გამომძიებელი.

აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით აღიძრა 116 სისხლის სამართლის საქმე 132 კაცის მიმართ. 74 კაცი დაპატიმრებულია. საგულისხმოა, რომ მათგან ყოველი მესამე არის თანამდებობის პირი, ხოლო 16 აფხაზეთის შინაგან საქმეთა ორგანოების ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკია. შემიძლია დავასახელო ოჩამჩირის რაიონის ყოფილი პროკურორი ვ. გურჯუა და ამავე რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი დ. შლარბა, რომლებიც მხილებულნი არიან 1200 სანადირო თოფის გადამალვაში, მონკავშირის მაღაზიაზე თავდასხმასა და მოტაცებული იარაღით აფხაზთა შეიარაღებაში. პასუხისგებაში არიან მიცემული: მოქალაქე კოლონიას მკვლელობისათვის — სოხუმის სადგურის მილიციის სახაზო განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი გ. კვარაცხელია, მასობრივი არეულობის ორგანიზაციისა და მასში მონაწილეობისათვის — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ზუხბა, რომელსაც, სხვათა შორის, სამსახურებრივ სეიფში აღმოაჩნდა რეგისტრაციაში გაუტარებელი ნახევარ კილოგრამზე მეტი ანაშა და 7000 მანეთი ფული, ამავე სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი ტ. გუნია, კურორტ „ბიჭვინთის" დირექტორის მოადგილე ნ. ბლაბბა, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სოფსაბჭოს მდივანი ო. ფხაზარია და სხვები. იარაღის უკანონოდ შენახვა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ედება ბრალად „აფხაზმშენის" ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორს გ. აგრბას.

გახსნილია ხუთი მკვლელობა, გამოვლინდნენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ მთელი რიგი პირები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის № 1 სკოლის შენობაში განლაგებული ფილიალის დარბევაში, აგრეთვე რუსთაველის სახელობის პარკში ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმის ორგანიზაციაში. სასამართლო გარჩევის სტადიაშია ი. პალბას საქმე, რომელსაც ბრალად ედება ბ. ვეკუას მკვლელობა.

(დასასრული მე-2 გვ-ზე.)

## Подводя итоги года

**17 января 1990 года состоялось совещание аппаратов БХСС республики. В повестке дня стояли вопросы состояния сохранности социалистической собственности, борьбы с должностными и хозяйственными преступлениями, хода перестройки работы по этой линии, задачи службы БХСС в этом направлении.**

**На совещании присутствовали: министр внутренних дел ГССР генерал-лейтенант внутренней службы Ш. ГОРГОДЗЕ, зам. министра полковник милиции Б. ЧАНТУРИШВИЛИ.**

**Была заслушана информация начальника Управления БХСС МВД ГССР подполковника милиции Г. ПАТАРАЯ «Результаты борьбы с экономическими преступлениями за 1989 год и задачи аппаратов БХСС на 1990 год».**

**В НАЧАЛЕ** своего выступления Г. Патарая дал подробную развернутую характеристику экономическому положению республики, затронул причины крупных задолжностей, хищений, порчи, разбазаривания народного добра в аграрно - промышленном комплексе, торговле, легкой и местной промышленности, бытовом обслуживании, строительстве и других отраслях народного хозяйства.

Было отмечено, что с учетом сложной оперативной обстановки в народном хозяйстве, в ряде местных органов перестройка работы идет крайне неудовлетворительно, начальники милиции проявляют пассивность, не контролируют подчиненные подразделения БХСС должным образом, сами лично не подают пример в этих вопросах.

Статистические показатели балансируют за счет второстепенных видов преступления — обманов потребителей, мелкой спекуляции и др. В то время на обслуживаемых ими объектах свободно действуют дельцы и комбинаторы.

Нередко в течение длительного времени на крупных и криминогенных объектах практически ничего не делается для разоблачения расхитителей, хотя по имеющейся информации на них систематически происходят всевозможные злоупотребления.

Вышеизложенное относится к МВД Абхазской и Аджарской АССР, УВД г. Тбилиси, Ткибульскому, Потийскому ГОВД, Цхакаевскому, Гегечкорскому, Ахалкалакскому, Терджольскому, Хашурскому, Дманисскому, Телавскому, Сигнахскому, Цалкскому, Аспиндзскому РОВД и др.

Внимание аппаратов БХСС обращено на то, что за последнее время крайне осложнилась обстановка в сфере кооперативного движения. Наряду с положительными моментами здесь наметилось множество нежелательных тенденций. В частности, укрытие доходов с целью неуплаты налогов, хищений, спекуляции и т. д. Аппараты же БХСС пока что не могут серьезно заниматься этими вопросами, о чем свидетельствует то обстоятельство, что в 1989 г. в кооперативном секторе выявлено всего 17 фактов преступлений.

На совещании был затронут ряд проблемных вопросов. В частности, о взаимоотношениях оперативных сотрудников с органами прокуратуры и следствия. Отмечено, что в отдельных случаях следователи не принимают всех мер, предусмотренных законами для углубления дела, необоснованно растягивают сроки следствия, не задерживают виновных, несвоевременно проводят неотложные следственные действия и т. д. В результате всего этого многие перспективные материалы теряют перспективу и преступникам удается уйти от ответственности.

Участились случаи, когда при явных фактах спекуляции прокуроры отказываются давать санкцию на обыск в квартирах подозреваемых, не дают разрешения на возбуждение уголовных дел.

Все это и сказывается отрицательно на эффективности борьбы с преступностью.

По указанию министра Ш. Горгадзе Управлению БХСС и Следственному управлению поручено подготовить совместное указание по данному вопросу, по каждому факту прекращения уголовных дел по хищениям, спекуляции провести служебное расследование, и к виновным сотрудникам принять самые строгие меры. Итоги совещания подвел министр внутренних дел ГССР Ш. Горгодзе.

## სხვადასხვა ინფორმაცია

**13 იანვარს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ცნობად იქნა მიღებული, რომ უკვე გაძლიერებულია და მუდმივად კონტროლდება ყველა საპატრულო საგუშაგო ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრებზე რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

ბიურომ პრინციპული შეფასება მისცა გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" 13 იანვრის ნომრის პროვოკაციულ პუბლიკაციას, რომლის მიზანია რესპუბლიკაში მდგომარეობის დესტაბილიზაცია და მთელ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაცია. აღინიშნა, რომ გაზეთის ცნობა საქართველოს მინისტრთა საბჭოში 47 კაბინეტის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და კალინინის რაიაღმასკომის შენობათა ნაწილის ხელში ჩაგდების შესახებ მტკნარი სიცრუეა.

ამ ტენდენციური პუბლიკაციის შესახებ ეცნობათ შესაბამის ცენტრალურ ორგანოებს.

**14 იანვარს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

აღინიშნა, რომ ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა კვლავ სტაბილურია. მოხსნილია თვითმომქმედი პიკეტები, შტაბები. სოფლის მცხოვრებთა უსაფრთხოებასა და ყველა საავტომობილო გზას რესპუბლიკის მილიციის გაძლიერებული ძალები აკონტროლებენ, მუშაობს საავტომობილო ტრანსპორტი.

შეშფოთება გამოითქვა იმის თაობაზეც, რომ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე წესრიგის დაცვის ძალების დისლოკაციისა და ჩვეული ფუნქციონირების მკვეთრად შეცვლის გამო მნიშვნელოვნად იმატა მძიმე სამართალდარღვევებმა, განსაკუთრებით თბილისში, საფრთხე ექმნება მოსახლეობის სიმშვიდესა და უშიშროებას.

ბიურომ მკაცრად შეაფასა შინაგან საქმეთა ორგანოების ინერტული, არაეფექტიანი მუშაობა.

**15 იანვარს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა სტაბილური რჩება.

ხაზგასმით ითქვა, რომ მდგომარეობა თბილისში და რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კვლავ დაძაბულია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილ უაღრესად დრამატულ ვითარებას.

**გამოქვეყნდა** სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მოწვევის შესახებ, რომელიც გაიმართება

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

# На заснеженных трассах —максимум внимания

**Сурова и капризна нынче зима в Грузии. И без того сложное интенсивное движение на дорогах республики предъявляет сейчас особые требования по обеспечению безопасности движения.**

УПРАВЛЕНИЕ Госавтоинспекции МВД Грузинской ССР не раз информировало водителей о правилах управления автомобилем на заснеженных или заледенелых дорогах. Обращалось внимание на возможные тяжелые последствия, к которым может привести недисциплинированность участников дорожного движения. Казалось, количество дорожно - транспортных происшествий должно если не снизиться, то хотя бы не возрастать. Но недавние снегопады показали, что надежды не оправдываются.

Общесоюзная трасса Новороссийск — Тбилиси — Баку — основная автомобильная артерия Грузии. Поэтому даже незначительное увеличение режима движения приводит к скоплению транспортных средств, ведет к автомобильным пробкам, которые приходится «открывать» зачастую в течение нескольких часов, а то и дней.

Именно так и произошло во время сильного снегопада на Рикотском перевале, когда многие водители игнорировали указания работников автоинспекции и останавливали машины там, где хотели. Вот тогда дальнейшее движение стало практически невозможным. Вдобавок это мешало работе снегоуборочной техники в сложных метеорологических условиях, нарушало ее ритм. Наши призывы к дисциплинированности, «шоферской солидарности» повисали в воздухе. Иные горе-водители думали только о себе, занимая противоположную сторону движения. Создались такие пробки, которые, казалось, ликвидировать не под силу никому. Только самоотверженный труд дорожников и терпение работников ГАИ дали возможность открыть для движения важную транспортную артерию.

Несмотря на неоднократные предупреждения, большинство водителей не пользуется противоскользящими средствами. Их автомобили заносит, что не только задерживает движение транспорта, но и создает реальную опасность на дороге.

Нередко из-за нарушения правил безопасности возникают заторы в тоннелях, где скапливается огромное количество токсичных выхлопов автомобилей, что может привести к тяжелым отравлениям водителей и пассажиров.

Министерство автомобильного транспорта и дорог ГССР совместно с Министерством внутренних дел республики разработало план совместных мероприятий, который призван обеспечить бесперебойное движение в сложных метеорологических условиях на автомобильных дорогах общегосударственного и республиканского значения, проходящих по территории республики. В частности, у постов автоинспекции на магистрали Новороссийск — Тбилиси — Баку (села Чумателети, Хеви, Оснаури, Вачеви) установлены шлагбаумы для перекрытия движения в случае резкого ухудшения погоды.

Сведения диспетчерско-информационного отдела Министерства автомобильного транспорта и дорог о данных режима движения на трассах несколько раз в день передаются по радио и телевидению.

Внимательно слушайте и смотрите передачи. Еще раз напоминаем, что необходимо иметь при себе противоскользящие и буксирные средства — это обеспечит вашу безопасность. Учтите, что посты Госавтоинспекции во время снежных заносов и гололеда не пропустят автомобиль, не экипированный соответствующим образом.

Помните и то, что в отношении водителей, которые не подчиняются дорожным знакам и требованиям автоинспекции, будут приняты меры административного наказания на основе действующего законодательства, что предусматривает запрещение права вождения сроком до трех месяцев.

Управление Госавтоинспекции надеется, что совместные усилия дадут результаты. При этом не последняя роль принадлежит тем, кто сидит за рулем. Их высокая сознательность, дисциплина, забота друг о друге, неуклонное подчинение требованиям работников автоинспекции сделает езду в сложных погодных условиях безопасной.

**Г. ДЕРТКИН,**
**руководитель общественной пресс - службы Управления Госавтоинспекции МВД ГССР.**

(დასასრული).

გარდა ამისა, რესპუბლიკის პროკურატურის სპეციალური ბრიგადა საგანგებოდ სწავლობს მთელ რიგ თანამდებობის პირთა როლსა და ადგილს ქართველთა და აფხაზთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივებაში, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა. ზოგიერთის მიმართ შეკრებილია საკმარისი რაოდენობის მამხილებელი მასალა და უახლოეს ხანს გადაწყდება მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

სამხრეთ ოსეთის ამბების გამო აღძრულია 94 სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ორი — ეროვნული შუღლის ჩამოგდების ფაქტთან დაკავშირებით. ერთი მათგანი — „ადამონ ნიხასის" ლიდერის ა. ჩოჩიევის მიმართ. წარმოებს გამოძიება მოქალაქეების ნ. თეგაშვილის, პ. ნიკორიშვილის, ნ. სამნიაშვილის, ვ. თუთარაშვილის, თ. თიგიევის, ვ. დრიაევისა და გ. ხორავას სიცოცხლის ხელყოფის გამო.

რესპუბლიკის პროკურატურა ახორციელებს ყველა ღონისძიებას, რათა ბოლომდე გამოიძიოს თითოეული ფაქტი. თავთავისი სახელი უწოდოს ყველაფერს, პასუხისგებაში მისცეს ყველა ბრალეული, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის, დაკავებული თანამდებობისა და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

**ა. ტალიაშვილი**: რესპუბლიკის სასამართლოებში განსახილველად შესულია 79 საქმე. დღესდღეობით აფხაზეთის სასამართლოებს განხილული აქვთ 25 საქმე. საბრალდებო განაჩენია გამოტანილი 29 კაცის მიმართ. — სამს მჯავრი დაედო ეროვნული შუღლის ჩამოგდების გამო, 11-ს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისათვის, 15-ს მასობრივი არეულობის ორგანიზაციისათვის, რასაც თან სდევდა მკვლელობები, შეიარაღებული თავდასხმები, ცეცხლის წაკიდება, რბევა-დაწიოკება და ა. შ. 24 საქმე წარმოებაშია. მათ შორის — ვ. ინაფშბას სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ბრალად ედება, რომ 1989 წლის 21 ივლისს ცეცხლსასროლი იარაღით დახოცა კურსანტი აკოფოვი და ლეიტენანტი ნოვიკოვი, რომლებიც სამსახურს ეწეოდნენ ოჩამჩირის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

სამხრეთ ოსეთის სასამართლოებში უკვე განხილულია 6 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის მ. ჩოჩიევის მიმართ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს, და ვ. ზახაროვის მიმართ, რომელიც 1989 წლის 29 სექტემბერს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა სამუშაოზე გამოსულ სატვირთო ავტომობილების მძღოლებს.

23 სისხლის სამართლის საქმე გადაეცათ სასამართლოებს ქვემო ქართლში ჩადენილ დანაშაულებათა გამო, მათგან 19-ზე უკვე გამოტანილია განაჩენი. ბრალდებულად არის მიჩნეული და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით ა. ქერიმოვს, რომელიც ეროვნული შუღლის აგიტაციას ეწეოდა. 4 წლიწადს მოუწევს სასჯელის მოხდა მილიციის ყოფილ მაიორს უ. ალიევს, 3 წლიწადს — მძღოლ ამიროვს, რომლებიც 1989 წლის ივნისში აქტიურად მონაწილეობდნენ ბოლნისში ბოროტ ჯგუფურ ხულიგნურ მოქმედებაში, ეროვნული შუღლის ჩამოგდებას რომ ისახავდა მიზნად, და გამოიწვია მძიმე შედეგები.

ქვემო ქართლში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მსაჯვრდადებულთა შორის არის აგრეთვე ერთი ქართველი და ერთი სომეხი.

რესპუბლიკის სასამართლოები განაგრძობენ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვას.

ნ. შოშიაშვილმა და ა. ტალიაშვილმა აღგვითქვეს, რომ შემდგომში რეგულარულად აცნობებენ საზოგადოებრიობას გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის მიმდინარეობას.

## —მილიციის სადაგი დღეები—







**ეს** ფოტოები კადაღებულია გომბორის გადასახვევთან არსებულ საგუშაგოზე, სადაც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ გურჯაანის მოტომექანიზებული დანაყოფის მოწინავე ავტოინსპექტორები, მილიციის სერჟანტები ავთანდილ გოგინაშვილი, მერაბ ბულაშვილი და დურმიშხან კოპლამაზაშვილი.

ა. გოგინაშვილი 1971 წლიდან მუშაობს შს ორგანოებში, არაერთხელ არის წახალისებული. მ. ბულაშვილი 15 წელია მილიციაშია. დაჯილდოვებულია სამივე ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის". დ. კოპლამაზაშვილი 20 წელია მუშაობს ავტოინსპექციაში. კეთილსინდისიერი სამსახურისათვის გამოცხადებული აქვს მრავალი მადლობა.

**კ. ანდრიაძის ფოტო.**

## სხვადასხვა ინფორმაცია

(დასასრული)

1990 წლის 14 თებერვალს ქალაქ მოსკოვში.

**16 და 17 იანვარს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი. თათბირზე ითქვა, რომ მართალია ცხინვალის რეგიონში სიტუაცია კვლავ სტაბილური რჩება, თბილისში ჩვეული რიტმით მუშაობს საქალაქო ტრანსპორტი და სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა, ნორმალურად ფუნქციონირებენ სკოლები, მომსახურების ობიექტები და სხვა დაწესებულებები, სულ უფრო საგრძნობი ხდება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის ფართო ფენების მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, მაგრამ მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკაში, განსაკუთრებით დედაქალაქში, სადაც გრძელდება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ დაწყებული აქციები, კვლავ დაძაბულია. აღინიშნა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში და თბილისშიც მკვეთრად იმატა მძიმე საბერობათა დანაშაულობებმა, რომელთა საგრძნობი ნაწილი ჯერჯერობით გაუხსნელია.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა მეზობელ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნილი ტრაგიკული ვითარების გამო, რაც მთელ საქართველოს მოსახლეობას აღელვებს.

წარმოებს სათანადო მუშაობა იმ რეგიონებში სიმშვიდის და წესრიგის შესანარჩუნებლად, სადაც სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

**რუსთაველის** პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ გრძელდება მოშიმშილეთა აქცია, რომლებიც აყენებენ სხვადასხვა ხასიათის მოთხოვნებს.

**სამხატვრო** გალერეასთან 2 თვეზე მეტია სხედან შაოსანი დედები, რომლებიც დღემდე ეძებენ „სამართალს".

**17 იანვრიდან** საქ. სსრ ცკ კპ გამომცემლობის მოსაცდელ დარბაზში სხედან სამაჩაბლოდან ჩამოსული ქართველი ქალები და მოითხოვენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. მსგავსი აქცია მოწყობილია ცენტრალური კომიტეტის მოსაცდელ დარბაზში.

## შეუნგაროდ



## ემსახურება

**ლამენათევ** კაცს, რომელიც წინა დღით განცდილს აანალიზებდა, ხმაური შემოესმა და... კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა კეთილშობილმა ადამიანმა — დიდი უსიამოვნება აცილა დამსვენებელ ქალიშვილს, რომელსაც ბოროტმოქმედთა ჯგუფი კარგს არაფერს უქადდა. ქალიშვილი მადლიერების გრძნობით შესცქეროდა მილიციის ფორმაში გამოწყობილ ხანში შესულ, მაგრამ კვლავ დიდი ენთუზიაზმით აღსავსე სამართალდამცავი ორგანოს მუშაკს, ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების დანაყოფის მეთაურს, მილციის ზემდეგ შოთა გიგოლაშვილს. იგი დაიბადა და აღიზარდა მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში (10-და-ძმანი იყვნენ) კასპის რაიონის სოფელ სარიგვარში, აქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა. პატიოსან და გამრჯე ოჯახში აღზრდილ ყმაწვილს მიწის სიყვარული და გლეხობასთან ურთიერთობა არ გასჭირვებია. დაუზარელი და თავაზიანი ბიჭი უმალ შეიყვარა სოფელმა, მათი ნდობაც დამსახურებულად ერგო, შოთას სიკეთით ხარობდნენ მშობლები... 1955 წლიდან ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა რიგით მილიციელად. დამნაშავეობასთან ბრძოლა მაღალ პროფესიონალიზმს და სიზუსტეს მოითხოვდა, ამიტომ იგი საკუთარ თავზე სისტემატიურად მუშაობდა. გადიოდა დრო შედეგიც სახეზე იყო ბატონ შოთას, როგორც მილიციის გამოცდილ მუშაკს ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებს ანდობდნენ: ბაკურიანში, ბორჯომის რაიონში, კახისის ტბაზე მდებარე ტურბაზაში. მას შესწევს უნარი ხალხთან ინდივიდუალური მიდგომით მიაღწიოს ურთიერთგაგებას, რის გამოც მის სამოქმედო უბანზე სისხლის სამართლის დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც უყვართ ახალგაზრდებს მისი მამა-შვილური დარიგება, ღრმად სწამთ ბატონი შოთასი, რომელსაც უმწიკვლო მუშაობის თითქმის 40 წლის მანძილზე მრავალი საპატიო სიგელი და ჯილდო აქვს მიღებული, წლების განმავლობაში იყო ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე. მის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მრავალი ახალგაზრდა მუშაკი ყავს აღზრდილი, რომელთაც უშურველად გადასცემდა თავის ცოდნას და გამოცდილებას. მათ შორისაა ზურაბ ხუციშვილი, ემზარ გიორგაძე, ლერი მარგიევი, გივი ფილიევი და სხვანი.

ბატონ შოთას ოჯახიც კარგი აქვს, მეუღლე, ქალბატონი ლიდა პენსიონერია, შვილებს რომანის და ლიას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ, დაოჯახებულიც არიან. შვილიშვილების ტიკტიკით ხარობს ვეტერანი. ალბათ ცოტაც და დაემშვიდობება საყვარელ საქმეს, რომელსაც იგი წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურა.

**თ. ჩიმჩილაშვილი.**

შეხვედრა დეპუტატთან

# ადამიანი იმედით ცოცხლობს

**გასული წლის დეკემბერში შემდგარი სახალხო დეპუტატთა ყრილობა გახდა უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბევრს იმათგან ვინც ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ადევნებდა ყრილობას კარგად ახსოვს დაძაბული, ბევრ შემთხვევაში დრამატული საპარლამენტო ბრძოლები. დღეს თავის შთაბეჭდილებებს ყრილობის მუშაობაზე ჩვენ მკითხველებს უზიარებს სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სსრკ შს სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მსმენელი ზ. ყურაშვილი.**



**— ზეინაბ, ახლა როცა ყრილობის შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და იყო საშუალება გარკვეული ანალიზისათვის, როგორ შეაფასებთ თქვენ მის მუშაობას, რით განსხვავდებოდა იგი პირველი ყრილობისაგან?**

— ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საბჭოს დეპუტატთა მეორე ყრილობა და მასზე მიღებული დადგენილებები გახდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიისა და განახლების მნიშვნელოვანი ეტაპი. იგი გახდა პირველ ყრილობაზე დაწყებული საპარლამენტო მუშაობის ლოგიკური გაგრძელება. მაის-ივნისში ყრილობაზე მიღებულ დადგენილებებზე და დასახულ პროგრამებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ნათლად გამოჩნდა დეპუტატების სხვადასხვა ჯგუფების პოზიციები, გაირკვა თუ ვინ არის ვინ. ალბათ გახსოვთ თუ რამდენი მწარე გაკვეთილი განიცადა ჩვენმა რესპუბლიკის დელეგაციამ აგრესიულად მორჩილ უმრავლესობასთან მძაფრი კამათისას. ამ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, რაც ნათლად იგრძნობოდა მეორე ყრილობაზე, სადაც პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატთა ზეგავლენა უფრო შესამჩნევი იყო. უფრო მიზანმიმართული და კონსტრუქციული გახდა ჩვენი დელეგატების მუშაობა, რაც ყრილობაზე მიღებულ დიდმნიშვნელოვან დადგენილებებშიც გამოიხატა. მართალია ბევრი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება არ მოხერხდა, მაგრამ მეორე ყრილობის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და იმედის მომცემად.

**— დაძაბულობა ყრილობაზე იგრძნობოდა შეიძლება ითქვას მისი მუშაობის პირველივე წუთებიდან, უკვე მაშინ, როცა მიმდინარეობდა ყრილობის დღის წესრიგის განხილვა. ალბათ ყველაზე პრინციპულ მომენტად გახდა დღის წესრიგში კონსტიტუციის მე-6-ე მუხლის განხილვის შეტანის საკითხი. თქვენი გადაწყვეტილება ამ კენჭისყრის დროს არაერთგვაროვნად შეფასდა ჩვენი რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე. აუხსენით თუ შეიძლება ჩვენს მკითხველებს თქვენი პოზიცია ამ საკითხში.**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობამდე და თვით ყრილობაზეც იყო შექმნილი დიდი აჟიოტაჟი, რასაც ბევრი გაუგებრობა მოჰყვა. მაგალითად, სახელობითი კენჭისყრის შემდეგ გამოვიდა ისე, რომ სესიაზე მე ვიყავი წინააღმდეგი ამ პუნქტის განხილვის, ხოლო ყრილობაზე მხარი დავუჭირე, თუმცა ჩემი პოზიცია ამ საკითხში არ შეცვლილა, უბრალოდ პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ელემენტარულ ტექნიკურ შეცდომას, რასაც არაჯანსაღი რეაქცია მოჰყვა. ვამბობ ამას არა იმიტომ, რომ თავი გავიმართლო, არამედ იმისათვის რომ სიცხადე შევიტანო ამ საკითხში. მე პირველი წელი არ არის რაც პარტიის წევრი ვარ და ვთვლი რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა პარტია იყო და არის ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდი და ეს არ იყო მაინცდამაინც კონსტიტუციასთან დაკავშირებით, როგორც იცით ეს მუხლი კონსტიტუციაში შეიტანეს 1977 წელს, მაგრამ მანამდეც პარტია ჩვენი ქვეყნის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ ეს ავანგარდული როლი აუცილებელი არ არის დეკლარირებული იყოს კონსტიტუციაში, არამედ ყოველდღიურ მუშაობაში და კონკრეტულ საქმეებში გამოიხატებოდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს განახლებისა და დემოკრატიის პროცესები თვით პარტიის დაწყებულია და ალბათ შეიძლება დავეთანხმოთ ყრილობაზე არა ერთხელ გამოთქმული აზრს იმის შესახებ, რომ ეს საკითხი უნდა განიხილოს XXVIII ყრილობამ და გამოტანილ იქნეს კონსტიტუციის ცვლილებების მთელ კომპლექსთან ერთად.

**— ალბათ ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ ეპიზოდად ყრილობაზე გახდა თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების განხილვა. რა მდგომარეობა იყო შექმნილი სობჩაკის კომისიის მუშაობასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით ჩვენმა მკითხველებმა იციან. თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში.**

— არ შევუდგები იმ გარემოებათა აღწერას, რაც მოჰყვა ამ საკითხის განხილვას. ვიტყვი, მხოლოდ იმას, რომ ატმოსფერო იმ მომენტში იყო ძალზე დაძაბული და ის, რომ ყრილობის დადგენილებაში სწორი შეფასება მიეცა აღნიშნულ მოვლენებს ჩვენი დელეგაციის მორალური და სულიერი ძალების დაძაბვის, ერთსულოვანი და პრინციპული პოზიციის შედეგი გახდა. არ შეიძლება არ ავღნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც აღმოგვიჩინეს სხვადასხვა რესპუბლიკის დელეგაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჩვენთან ერთად დატოვეს დარბაზი და ამით გამოხატეს თავისი პროტესტი სამხედრო პროკურორის გამოსვლის გამო. ეს იყო ერთ-ერთი გამოვლინება სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა. მართალია აქაც ყველაფერი ისე არ განხორციელდა, როგორც გვინდოდა. სობჩაკის კომისიის ზოგიერთი პუნქტი ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა, რომლებზეც სხვებთან ერთად მეც უნდა მელაპარაკა, მაგრამ შემდგომში მომხდარმა მოვლენებმა შეცვალა ჩვენი დელეგაციის გეგმები. მიუხედავად ამისა მიღებული დადგენილება მიმაჩნია საქართველოს დელეგაციის მნიშვნელოვან და მომავლისათვის იმედისმომცემ გამარჯვებად.

**— ყრილობაზე იყო მოსმენილი სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ბაკატინის მოხსენება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან დაკავშირებით. მოხსენების რომელ დებულებებს თვლით თქვენ ყველაზე მნიშვნელოვნად, რა არის საჭირო მათი ცხოვრებაში გატარებისათვის.**

**რა ითქვა ყრილობაზე მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით?**

— პირველ რიგში მინდა ავღნიშნო, რომ ვ. ბაკატინის მოხსენებაში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა დეპუტატების უმეტესობაზე, ალბათ პირველად ჩვენს ისტორიაში მოცემულ იქნა ნათელი და რეალისტური, მრავალმხრივი ანალიზი იმის თაობაზე, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის ორგანიზებული დამნაშავეობა.

მე ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მოხსენების ის ნაწილი, რომელშიც ვ. ბაკატინი აღნიშნავს კანონისადმი პატივისცემის აღდგენის საჭიროებას. ნამდვილად, ამჟამად ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები ზოგიერთებმა გაიგეს როგორც ყველაფრის უფლება, რაც ისედაც რთულ ვითარებას, დაკავშირებულს დანაშაულის ზრდასთან კიდევ უფრო ამძიმებს. აქ უნდა გავითვალისწინოთ რომ, სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობაში, რომელშიც ამ ბოლო დროს იგრძნობა ერთგვარი თავის გადაჭარბებული დაზღვევა და მოკრძალება საშიში დამნაშავეების მიმართ კანონის ნორმების მთელი სიმკაცრის გამოყენებისას. არ შეიძლება ბა იყოს მისაღები. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დამნაშავეების დანდობა ნიშნავს ფაქტიურად სიმკაცრეს პატიოსანი ადამიანების მიმართ.

პრობლემების გადაწყვეტაში შეიძლება დაგვეხმაროს კანონი მილიციის შესახებ, რომელიც ახლა მომზადების სტადიაშია და რომელშიც ზუსტად და დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების ყველა ფუნქციები, მოვალეობები და უფლებები. ამასთან ერთად საჭიროა საფუძვლიანად გაუმჯობესდეს სამართალდამცავი ორგანოების ტექნიკური აღჭურვილობის და მატერიალური წახალისების საკითხები, სისხლის სამართლისა და პროცესუალურ კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც მიმართულ იქნება ყველა დამნაშავე ჯგუფის, სისხლის სამართლის სასჯელით გარდაუვალი უზრუნველყოფისათვის.

ნათქვამთან ერთად მინდა მხარი დავუჭირო მოხსენების იმ დებულებას სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების და სტაბილიზაციის გარანტია უნდა იყოს არა მხოლოდ სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა, არამედ აქტიური, პერსპექტივაზე მომუშავე პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც წარმართავს წინააღმდეგობას და დაძაბულობას საზოგადოებაში კონსტრუქციული, კონსოლიდირებული გზით.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმასაც, რომ დანაშაულობასთან საერთოდ და განსაკუთრებით მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის ყოველგვარ ზომებს [illegible] მაშინ ექნება ფაქტიური [illegible] თუკი ისინი იქნებიან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლილებებთან — ზოგადპოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ-ზნეობრივ სფეროებში.

**— თქვენის აზრით სსრ კავშირის, კერძოდ საქართველოს რომელი მნიშვნელოვანი საკითხები არასაკმარისად ან საერთოდ არ იყო განხილული ყრილობაზე.**

— დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები. მართალია, ყრილობამ მოიწონა და მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა, მაგრამ ამასთან კარგი იქნებოდა, როგორც ამას დეპუტატთა დიდი ნაწილი მოითხოვდა, განხილულიყო და მიღებულიყო კანონები საკუთრებაზე, მიწაზე და სხვები, რომლებიც მისცემდნენ სათანადო იმპულსს რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას. უახლოეს დროში უნდა განხილულ და მიღებული იქნეს ცვლილებები კონსტიტუციაში, რომელიც კერძოდ ეხება ფედერალური მთავრობის და რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატების ყრილობებისა და სესიების კომპეტენციის დაზუსტებას. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ შემუშავდეს და სესიაზე გატანილ იქნას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამა, ანალოგიურად იმისა, როგორც ეს გააკეთეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, რის გარეშეც რესპუბლიკის სუვერენიტეტზე ლაპარაკიც ზედმეტია. აგრეთვე საჭიროა, მითუმეტეს ახლა, როდესაც მიმდინარეობს ადგილობრივი საბჭოების არჩევნები გადაწყდეს საკითხი დეპუტატის სტატუსის თაობაზე, რომელშიც იქნება დაზუსტებული ყველა მისი უფლება-ვალდებულებები, მისი მოღვაწეობის იურიდიული გარანტიები და დეპუტატებისათვის მუშაობის პირობების შექმნის საკითხები.

**— ტრადიციული შეკითხვა — თქვენი მომავალი გეგმები, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატის და მილიციის უმაღლესი სკოლის მსმენელისა.**

— ამჟამად ვატარებ შეხვედრებს ამომრჩევლებთან. მინდა ღრმად ჩავწვდე იმ მოვლენებს, რაც დღეს ხდება და ხალხის მოსაზრებათა გათვალისწინებით წარვმართო ჩემი საპარლამენტო მუშაობა. ახლახან შევასრულე უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების, საქონლით ვაჭრობის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და მოსახლეობის სხვა მომსახურების სფეროში კომისიის დავალება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში არსებული ნაკლოვანებების და პრობლემების დასადგენად. ეს ინფორმაცია მოვამზადე საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად. როგორც მილიციის სკოლის მსმენელი ვემზადები ჩემთვის პირველი საგამოცდო სესიისათვის, ასე რომ საზრუნავი ბევრი მაქვს.

**— გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.**

გმადლობთ.

**ესაუბრა ა. ცატუროვი.**

БОЙЦЫ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# НА СТРАЖЕ ПРАВОПОРЯДКА

**В органах внутренних дел республики работают много известных в прошлом спортсменов, которые на протяжении многих лет успешно выступали на всесоюзных и международных соревнованиях, продолжая славные традиции грузинского спорта. Наш рассказ о бывшем динамовце, ныне оперуполномоченном ОУР Заводского РОВД старшем лейтенанте милиции Иосифе Гвенетадзе.**

**РОДИЛСЯ** Иосиф в селе Шрома Лагодехского района, там же закончил среднюю школу. Как большинство грузинских юношей он овладевает азами грузинской борьбы. Полюбив спорт, поступает в Грузинский государственный институт физической культуры.

Будучи студентом первого курса И. Гвенетадзе становится победителем всесоюзного турнира и впервые выполняет норматив для присвоения ему звания мастера спорта СССР. В 1978 году он — абсолютный чемпион Грузии по борьбе дзюдо. Надо отметить, что немногим борцам удавалось добиваться такого успеха при собственном весе 78 кг.

Затем успешные выступления на всесоюзной и международной аренах. И. Гвенетадзе становится призером международных турниров в Монголии, ГДР, Польше.

По совету друзей в 1983 году полный сил и энергии И. Гвенетадзе поступает на работу в органы внутренних дел, сначала инспектором детской комнаты, а затем, инспектором уголовного розыска. С первых же дней работы в органах Иосиф про-



является себя смелым и исполнительным сотрудником. Профессиональному мастерству он учится у своего наставника — старшего оперуполномоченного ОУР Октябрьского района майора милиции Н. Цихелашвили, которым он очень гордится. За короткий период работы только лишь в Октябрьском РОВД Гвенетадзе были раскрыты 7 дел по линии наркомании, одна разбойная группа, две группы похитителей автомашин, обнаружены лица, находившиеся во всесоюзном розыске. Всего на счету у молодого чекиста за период работы в органах милиции 17 раскрытых дел. Он поощрен 20 раз, из них 9—приказом министра внутренних дел республики.

— Одно из поощрений, — рассказывает И Гвенетадзе,— я получил за участие в операции задержания особо опасного преступника. Было это летом прошлого года, когда из следственного изолятора г. Зугдиди бежал некий Барсегян. Будучи в Тбилиси, он из таксомоторного парка угнал автомашину такси: Сняв знак, без оформления документов реализовал ее в г. Алаверди Армянской ССР. По оперативным данным, разыскиваемый по всесоюзному розыску был задержан в такси подполковником милиции Заводского РОВД Г. Гулбани, а вместе со мной в этой операции принимали участис мои коллеги: старший оперуполномоченный ОУР майор милиции Д. Джангвелидзе и оперуполномоченный ОУР лейтенант милиции М. Кахабришвили.

В 1989 году подразделение, руководимое полковником милиции Ш. Енукидзе, добилось хороших показателей благодаря принципиальности и профессиональному мастерству молодых сотрудников. Немалая доля успеха принадлежит и оперуполномоченному старшему лейтенанту милиции И. Гвенетадзе.

После продолжительных и трудных, напряженных дней (а иногда и ночей) работы все свободное время Иосиф проводит в кругу семьи с будущими чекистами (а может быть и чекистами) — 8-летним Георгием и 3-летним Давидом.

**А. МАЛАЯНЦ.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД ГССР

# Организованная преступность в США

**В последнее время в публикациях различных изданий, средств массовой информации нашей страны все чаще мелькает термин «организованная преступность». Отчетливо представить особую общественную опасность этого явления можно по публикуемым ниже данным об основных видах организованной преступности в США.**

**ТОЧНО** подсчитать реальный валовый или чистый доход организованной преступности в США невозможно из-за отсутствия в распоряжении государства достоверных данных. Действительно ее доходы превышают совокупные прибыли большинства крупных корпораций Соединенных штатов..

Громадные денежные средства от организованной преступности используются для подчинения легального бизнеса, спекуляции на биржевом рынке, избрания и подкупа политических деятелей создают могущество, которое дают миллиардные доходы в сочетании с другими преимуществами организованной преступности (свобода от всех законов и норм вследствие нелегальных методов деятельности).

Американские криминологи Д. Херберт и Х. Тритт приводят перечень видов такой организованной деятельности, каждый из которых сопряжен с совершением других преступлений. Среди них наиболее крупные доходы приносит торговля наркотиками, которой организованные преступные группы всерьез занялись после отмены «сухого закона» в 1933 году, когда доходы от нелегальной продажи спиртных напитков резко упали.

Сегодня нелегальная торговля наркотиками является частью деятельности почти всех организованных преступных групп. В ней в разной степени участвуют мафии «Коза ностра», чиканос, колумбийские преступные группы, черная мафия, мотоциклетные банды и т. д. Некоторые группы специализируются на распространении определенных видов наркотиков: мотоциклетные банды— амфетаминов или «стимуляторов», колумбийские шайки — кокаина и марихуаны.

Торговля наркотиками, осуществляемая организованной преступностью, помимо прочих негативных моментов, свидетельствует и о сотрудничестве между организованными преступными группами во всем мире. Для организованных преступных групп США было бы практически невозможно ввозить в страну наркотики всевозможных видов и в огромном количестве без наличия основанной на свободных началах конфедерации взаимной помощи и деловых операций.

Нелегальная торговля наркотиками порождает ряд косвенных преступлений, включая убийства, нападения, грабежи, вооруженные грабежи, кражи со взломом, скупку краденого, прием и сокрытие краденого, страховые махинации и т. д., а также имеет далеко идущие последствия для общества, совокупные издержки (зарплаты на охрану правопорядка, уголовное преследование и судопроизводство, увеличение финансовых расходов на здравоохранение, связанных с лечением наркоманов и т д), несомненно превышает доходы, получаемые от самой этой незаконной деятельности.

Наиболее серьезную угрозу ростовщительства, однако представляет не его очевидная сторона, а скорее участие исподволь в таких событиях, как завладение чужим бизнесом, мошенничество, банкротство, кражи со взломом и их инсценирование, страховые махинации, поджоги.

**(Продолжение следует).**

# საახალწლო სურვილები საქართველოს

**პატარა** მარინა მოლოდ 4 წლისაა. მაგრამ მას მშობლები სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით ზრდიან. ახალი წლის წინა დღეებში მარინა ლომთათიძე სტუმრად მოვიდა ჩვენს რედაქციაში და წაგვიკითხა დედიკოს მიერ დაწერილი ლექსი.

ახალო წელო, დაგვლოცე
და მოგვიშუშე იარა,
ძველმა წელმა ხომ ულმობელ
სისხლის ღვრით გადაგვიარა.

შენგან მოელის სიმართლეს,
ბორკილ გაყრილი ქვეყანა,
შენამდე ჩვენ ვერ შევძელით,
ბორკილი გადაგვეყარა.

გვაკმარე გულის ტკივილი
მონობის უღლის სიმძიმე,
ჩვენ დარად გამოგვეცხადე,
ბოროტის სახლში იწვიმე.

ღვთისმშობლის კუთვნილ მამულში
სულ მზის სხივებად იარე,
ბოროტის სახლ-კარ მამული
ქარიშხლით გადაიარე.

ჩვენი სიმართლით გვატარე
იყავ სიმართლის მფარველი,
ჩვენ დაგვიმკვიდრე ჩვენივე
სისხლით მორწყული მთა-ველი.

ახალო წელო, მიგილებთ.
მიგილებთ დიდი იმედით,
რაც სილამაზე არსებობს
ჩემს საქართველოს მიეცი.

ნორა გაგუნია-ლომთათიძე



გ. მგალობლიშვილის ფოტო.

გ. თოფურია

# განსხვავებული ცრემლები

ის იყო ოთარმა ამბის თხრობა ჩაამთავრა, რომ ეზოდან პატარა გოგონას ძახილი მოისმა:

— ბიძია ალექსანდრე, ბიძია ალექსანდრე!

ალექსანდრე გაეპასუხა: — ო, ზაირა, ეს შენა ხარ?.... შემოდი შვილო, შემოდი, რაშია საქმე?

ოთახში შემოსულმა გოგონამ მარჯვენა ხელიდან მარცხენა ხელში გადაიტანა თითქმის თავის ხელა თოჯინა და მიუგო: — ბებიამ დამაბარა: თქვენ და თქვენი სტუმარი ჩემთან გადმოდით რაღაც მაქვს თქვენთან სალაპარაკოო.

— კარგი შვილო გადმოვალთ, — მიუგო ალექსანდრემ. გოგონამ კვლავ თავის თოჯინას დახედა. მერე ალექსანდრეს და ოთარს შესცინა და ოთახიდან ამაყი იერით გავიდა.

— ეს პატარა გოგონა თქვენი მეზობლის მარგო ტყებუჩავას შვილიშვილია არა? — ჩაეკითხა ოთარი სანდროს.

ის გახლავთ. მისი უმცროსი ვაჟისაა. ქალბატონი მარგო ტყებუჩავა თქვენი დიდი მადლობელია. ამხანაგო ოთარ. სულ თქვენ ქებაშია. ამას წინათ ვინახულე და მაშინ მითხრა: — ეგ თქვენი სტუმარი რა კარგი კაცია, რა ყურადღებიანი, ერთხელ სასწრაფო დახმარებაც კი მომიყვანაო. ეხლაც ალბათ, იმიტომ გვეძახის, რომ მადლობა უნდა გადაგიხადოთ. ლოგინიდან ვეღარ დგება საცოდავი ქალი! წავიდეთ, ვინახულოთ.

გამარჯობათ ქალბატონო, როგორ ბრძანდებით, როგორ გრძნობთ თავს? — დიდი ხნის ნაცნობივით მოიკითხა ოთარმა.

— გაგიმარჯოს შვილო, გაგიმარჯოს! ვერა ვარ მთლად კარგად...

იცით რაზე დაგიძახეთ ახლა ორივეს? ადრეც ვაპირებდი თქვენთან ამის თქმას, მარა რატომღაც თავს ვიკავებდი, — დაიწყო მარგომ, — ვიკავებდი იმიტომ, რომ არ მინდოდა ვინმე გამესარჯა და ჩემი ნათქვამით ვინმეს მტერი შეეძინა. ჩემო ალექსანდრე, ჩემი ხნის ქალმა ამ მიწის ქვეშ რა იმალება ისიც იცის. ასეა ეს, მე ისიც ქე ვიცი შენ და შენი სტუმარი ვინ ხართ და რას საქმიანობთ, აბა, შენი სტუმარი პატივცემული ოთარი, რომ ორგანოს მუშაკია იქედან მივხვდი სასაფლაოზე რომ შევნიშნე რამოდენიმეჯერ.

ოთარიმ და ალექსანდრემ შეპარვით გახედეს ერთმანეთს ისე, რომ არცერთს სიტყვა არ ამოუღია.

— ახლა რაც უნდა მეთქვა თქვენთვის: დაახლოებით ასე სამი კვირის წინ ჩემი უბედური შვილების საფლავზე ვიყავი გასული, ვასუფთავებდი იქაურობასა და თან ჩემს შვილებს ვტიროდი გულდამწვარი დედა, თითქმის შებინდებამდე შევრჩი იქ. უცებ ჩემს მახლობლად მანქანა გაჩერდა. შუქფარები ანთებული ჰქონდა. მანქანიდან ვიღაცეები გადმოვიდნენ და გეზი დიხამინჯიას საფლავისაკენ აიღეს. ვიფიქრე, ამ საღამოს სასაფლაოზე რა უნდათ-თქო. დამაინტერესა. ჩემი ბიჭების საფლავთან დარგულ ნაძვის ხეებს ამოვეფარე და თვალთვალი დავუწყე. სულ ახლოს ჩამიარეს. კარგად დავინახე დავით დიხამინჯია და ერთი მილიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი ვიღაცას ხელჩაკიდებული რომ მიათრევდნენ. როგორც ემჩნეოდა უცნობი დაჭრილი ან ავადმყოფი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ოხრავდა და კვნესოდა. წინ დავითის მეუღლე თამარი მიუძღოდათ. უცნობი დიდიკოს საფლავთან მიიყვანეს. თამარმა სანთლები დაანთო. სანთლების სინათლეზე შევნიშნე, რომ ის ვიღაც უცნობი ფეხებით ასწიეს ზევით და თავდაღმა ეკავათ. თამარმა პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— შვილო დიდიკო, გეიგონე და დეინახე როგორ დაგდის საფლავზე შენი დამღუპველის სისხლიო, მალე მეორესაც მიუზღავთ სამაგიეროსო! — ეს კარგად გავიგონე, რადგანაც ერთი, რომ თამარი თითქმის ხმამაღლა ლაპარაკობდა ამას და მეორეც ღამე კარგად ისმის პატარა ხმაურიც კი. მერე სანთლები ჩააქრეს, ის ვიღაც უცნობი ისევ მანქანაში ჩასვეს და წავიდნენ. შიშისაგან ენა ჩამივარდა და მუხლი მომეკვეთა! კაი ხანს ვიყავი ასე. ბარბაცით დავბრუნდი სახლში. მთელი სხეული მიცახცახებდა. იმ დღის მერეა სწორედ, რომ ფეხზე ვეღარ ვდგები. ახლაც სულ თვალწინ მიდგას ის საზარელი სურათი, ღამით სულ ცუდი სიზმრები მაქვს მას მერე. ხანდახან ვფიქრობ: სიზმარში ხომ არ ვნახე ის ყველაფერი — თქვა, მარა რაცხა არ მჯერავს ეს. ღმერთო, რა არ ხდება ამ ქვეყანაზე! შეიძლება აქამდისაც ქე უნდა მეთქვა ეს ყველაფერი თქვენთვის, მარა ვერ გითხარით.

— ქალბატონო მარგო. რასაკვირველია ჯობდა აქამდე რომ გეთქვათ, მაგრამ არც ახლაა დაგვიანებული, დიდი მადლობელი ვარ თქვენი. თქვენი ნაამბობი ბევრად დაგვეხმარება...

გვიან ღამით დაბრუნებულ ოთარის ალექსანდრე თავის ოთახში დახვდა, რაღაც წიგნს კითხულობდა.

— კი მაგრამ ფეხით რომ მობრძანდით თქვენი მანქანა სად დატოვეთ ჰკითხა ალექსანდრემ.

— ეგ მთელი ისტორიაა ჩემო ალექსანდრე, დღეს ნამდვილად იღბლიანი დღეა, იღბლიანი! თქვენ და ქალბატონ მარგოს, რომ დავცილდით, გეზი ქალაქის ცენტრისაკენ ავიღე. ის იყო მშვიდობის ქუჩა უნდა გამევლო, რომ მოპირდაპირე მიმართულებით მომავალი მანქანა დამეჯახა მარცხენა მხრიდან.

— მერე?.

— ისე მომეჩვენა, თითქოს მძღოლმა განგებ დამარტყა. არც შევმცდარვარ. ეს ნამდვილად ასე იყო და მერე იცი ვინ გამოდგა იმ ავტომანქანის მძღოლი?

— ვინ?!

ბატონი დავით დიხამინჯია.

— დავითი?! — გაკვირვებულად ჩაეკითხა ალექსანდრე.

— დიახ, დავითი. მანქანა გავამუხრუჭე. იმანაც მაშინათვე დამუხრუჭა. მანქანიდან გადმოვიდა და მითხრა: წინასწარ გიხდით ბოდიშს. გთხოვთ ნუ აღელდებით და ნუ ინერვიულებთ; ახლავე წავიდეთ პროფილაქტიკაში და ყველაფერს ახალს დაუყენებ რაც კი რამე გაუფუჭდა თქვენს მანქანას ჩემი დაუდევრობითო. მანქანა პროფილაქტიკაში მივიყვანეთ. იქ ვიღაცა ხელოსანს დაავალა: ამ წუთში ყველაფერი გამოუცვალეთ და ყველაფერი ახალი დაუყენეთ ამ მანქანასო! მერე მომიბრუნდა და მითხრა: ბატონო ოთარ, ესენი ყველაფერს მოუვლიან, ჩვენ კი მანამდე აგერ მახლობელ რესტორანში შევიდეთ და ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთო.

მე ვიუარე, მაგრამ იმან თავისი გაიტანა და შევედით რესტორანში. დავსხედით. სანამდის სუფრას აწყობდნენ რესტორნის მომტანები, ქათინაურების თქმაც მოასწრო: — კიდევ კარგი რომ ასეთი კეთილი და კარგი ადამიანი აღმოჩნდით, თორემ სხვა რომ ყოფილიყო ერთ ამბავს ამიტეხდა და აქაური ავტოინსპექციის ამბავი რომ ვიცი, მართვის მოწმობის ჩამორთმევა არ ამცდებოდაო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ყოველივე წინასწარ მოფიქრებული და კარგად გათამაშებული სცენარი იყო, რომლის რეჟისორიც თავად დავით დიხამინჯია გახლდათ. მივხვდი, რომ დიდი სიფრთხილე და ტაქტიკური მოქმედება მმართებდა. თბილისში, მეტნაკლებად კახურ ღვინოსა ვარ შეჩვეული და უფრო ვიტან, ამასთან ბოლომდის არცერთი ჭიქა ღვინო არ შემისვამს. დავითი კონიაკს მაძალებდა, მაგრამ მე კატეგორიულად უარი ვთქვი, თან კუჭის დაავადება მოვიმიზეზე. თავად დავითი ზედიზედ ცლიდა კონიაკის ჭიქებს და კარგადაც შეზარხოშდა, მაგრამ როგორც ვამჩნევდი მაინც ფხიზლობდა.

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-4 (1990).

СПОРТ СПОРТ

# Новый старший тренер

**КОМАНДА** мастеров Сухумского «Динамо», как нам известно, в новом футбольном сезоне 1990 года выступит в Чемпионате СССР среди команд первой лиги.

К нынешнему сезону команду начали готовить новые руководители. 6 января совет коллектива Сухумского «Динамо» утвердил в качестве старшего тренера известного в прошлом футболиста — мастера спорта международного класса Олега Долматова, тренерами команды утверждены Ираклий Коява, Юрий Логуа (тренер-методист), начальником команды — Валерий Делба и администратором — Акакий Папава.

О. Долматов заменил в Сухумском «Динамо» на посту старшего тренера заслуженного тренера СССР Анатолия Норакидзе, под руководством которого команда в прошлом сезоне удостоилась одной из трех путевок в первую лигу.

Еще в середине прошлогоднего сезона А. Норакидзе обратился с просьбой в президиум совета клуба освободить его от должности старшего тренера по состоянию здоровья. Ему обязательно надо было пройти курс лечения, однако он не оставил команду на полпути и довел ее до победного конца.

Президиум совета клуба, футболисты федерации футбола Абхазии и Абхазский совет «Динамо», общественность и любители футбола благодарят А. Норакидзе, а также бывшего начальника команды заслуженного тренера Грузинской ССР Юрия Граматикопуло, который в 50-х годах успешно выступал за тбилисское и киевское «Динамо». Решением совета клуба они остались почетными членами сухумского «Динамо».

Пожелаем успехов футболистам, новому руководству команды в новом сезоне; еще выше поднять знамя «Динамо» и преумножить славу грузинского футбола.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

# НОВИНКИ ТЕХНИКИ

## БЕСПИЛОТНЫЙ ВЕРТОЛЕТ

Беспилотный вертолет разработала фирма «Джапан авиэйшн электроникс индастри». Он может использоваться для распыления химикатов в сельском хозяйстве, проведения аэрофотосъемок, проверки линий электропередачи. Грузоподъемность вертолета — 20 килограммов, максимальная скорость — 100 км/ч, максимальная продолжительность полета — 2 часа.

## СОЛНЕЧНЫЙ ВЕЛОСИПЕД

Западногерманские изобретатели Ю. Браммер и П. Кунстман сконструировали велосипед с электродвигателем, получающим ток от солнечной батареи. Он может развивать скорость 45 километров в час. При заходе солнца запасенной впрок электроэнергии хватает для езды еще в течение трех часов.

ინდექსი 66689
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 18 უე — 00112